ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №221

ქ. ლაგოდეხი 19.12.2016წ.

ერთის მხრივ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მისი გამგებლის კარლო ჯამბურიას სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს "კომპაუდი", წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის ნუგზარ ხიჯაკაძეს სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის ა) პუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

**1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც უწევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1 ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი და უძრავი ქონების საპრივატიზებო და საბალანსო ღირებულების დადგენის მიზნით აუდიტორიული მომსახურების გაწევა დანართი №1-ის შესაბამისად.

2.2 დანართი №1-ით განსაზღვრულ თითეულ ქონებაზე აუდიტორიული დასკვნების მომზადება.

2.3 კლასიფიკატორის კოდი: CPV79212000.

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1 გასაწევი მომსახურების ღირებულება, მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 780 (შვიდას ოთხმოცი) ლარს.

**4. მომსახურების გაწევის პირობები**

4.1 მომსახურების მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 5(ხუთი) სამუშაო დღე.

4.2 ქონების შეფასება უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი აუდიტორიული სტანდარტების, აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების, დებულებების და ნორმატიული აქტების შესაბამისად.

4.3 მიმწოდებლის მხრიდან შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენილი აუდიტორიული შეფასებები ხელმოწერით დამოწმებული უნდა იქნას საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების დამადასტურებელი სერთიფიკატის მქონე პირის(ხელმძღვანელი ან თანამშრომლის) მიერ.

**5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)**

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და შეამოწმონ მომსახურება, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებით გაწეული მომსახურების ხელახალი შესრულება.
5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
6.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
6.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

## 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.
7.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.
7.3 ანგარიშსწორება მოხდება ერთჯერადად ფაქტიურად გაწეული მომსახურებისა და მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10(ათი) სამუშაო დღის ვადაში.

## 8. ფასები

8.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
8.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.
10.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისთვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.
10.3 შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში უფლება-მოვალეობების გადაცემა (მთლიანად ან ნაწილობრივ) ფორმდება წერილობითი სახით შემსყიდველსა, მიმწოდებელსა და მესამე პირს შორის.

LAGODEKHI MUNICIPALITY ADMINISTRATION

11. გარანტია

11.1 მიმწოდებელი იძლევა გაწეული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

12.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების გაწევის ვადების დარღვევის პერიოდი მოთხოვნის დღიდან აღემატება 15 კალენდარულ დღეს ან მოთხოვნის დღიდან ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს;

დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ვ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

13.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაწიოს მომსახურება ან მომსახურების ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 მე-13 მუხლის 13.1 და 13.2 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**15. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**16. გამოყენებული სამართალი**

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

**18. სხვა პირობები**

18.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

18.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

| "შემსყიდველი" | "მიწოდებელი" |
|---|---|
| ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი | შ.პ.ს. "კომპაუდი" |
| საიდ.კოდი: 233144987 | საიდ. კოდი: 202385169 |
| ლაგოდეხი, 26 მაისის ქ.№25 | ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის ქ. №95ა, |
| მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში | ფაქტიური-თბილისი, ბაქრაძის ქ №6 |
| მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა | ს.ს. საქართველოს ბანკი |
| ბანკის კოდი - TRESGE22; | ბანკის კოდი: BAGAGE22 |
| მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 200122900 | ანგ. №GE62BG0000000192631800 |
| კარლო ჯამბურია | ნუგზარ ხოჯაკაძე |
| ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი | შ.პ.ს. „კომპაუდი"-ს დირექტორის |
| | მინდობილი პირი |

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №
19.12.2016წ.

დანართი №1

| N | ქონების დასახელება | მისამართი | საკადასტრო კოდი | მომსახურების ღირებულება(ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | 5717454.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო(საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი | 54.18.51.023 | 100 |
| 2 | 1705600.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო(საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი | 54.18.51.024 | 100 |
| 3 | 1540775.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო(საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი | 54.18.51.002 | 100 |
| 4 | 774219.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო(საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი | 54.18.51.003 | 100 |
| 5 | 345800.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო(საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი | 54.19.52.003 | 100 |
| 6 | 60000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო(საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი | 54.19.52.002 | 100 |
| 7 | 53400 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო(საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი | 54.19.52.001 | 100 |
| 8 | ავტომობილი მერსედეს ბენცი E-320 ს.ნ. XDX 303. | | | 80 |
| | სულ 780 ლარი | | | |

"შემსყიდველი"

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი
საიდ.კოდი: 233144987
ლაგოდეხი, 26 მაისის ქ.№25
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი - TRESGE22;
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 200122900
კარლო ჯამბურია
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

"მიმწოდებელი"

შ.პ.ს. "კომპაუდი"
საიდ. კოდი: 202385169
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის ქ. №95ა,
ფაქტიური-თბილისი, ბაქრაძის ქ №6
ს.ს. საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. №GE62BG0000000192631800
ნუგზარ ხოჯაკაძე
შ.პ.ს. „კომპაუდი"-ს დირექტორის
მინდობილი პირი